„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №3-4 (9545-9546) ● 1-28 თებერვალი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

დასაფინანსებელი პროექტები 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში შეირჩა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტებისთვის 738 000 ლარია გამოყოფილი.

განსახორციელებელი პროექტების შესარჩევად, ადმინისტრაციულ ერთეულებში გამართულ კრებებს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია უძღვებოდა. პრიორიტეტების შერჩევის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი სექტორების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დასაფინანსებელი პროექტები მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეირჩა:

* * *

გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასაფლაოს ღობისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა; მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში - გარე განათების სისტემის მოწყობა; ნოსირის ადმინისტრაციულ

ერთეულში: სოფელ ნოსირში - საძოვრის შემოღობვა და გარე განათების სისტემის მოწყობა; შუა ნოსირში - საბავშვო ბაღის ღობის მოწყობა, ცენტრისა და სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა; სოფელ საბესელიოში - ცხაურის და რკინიგზის გასწვრივ, ღობის რეაბილიტაცია; სოფელ საკილასონიოში - სანიაღვრე არხის მოწესრიგება და საძოვრის შემოკავება; სოფელ საოდიშარიოში - ცხაურის მოწყობა და სანიაღვრე არხის მოწესრიგება.

მოსახლეობასთან კრება/კონსულტაცია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართა. მოსახლეობამ თავად აირჩია სოფლის პრიორიტეტები, რითაც ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სოფლის განვითარების უმნიშვნელოვანეს პროცესებში.

* * *

მენჯის ადმინისტრაციული ერთეულში: სპორტული ტრენაჟორების მოწყობა;

ეკის ადმინისტრაციული ერთეულში: ეკის საჯარო სკოლის ღობის მოწყობა; ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფლებში: საადანაიოში, პატარა ზანასა და შუა ხორშში - გზის ბეტონის საფარის მოწყობა; ასევე, სოფელ ციზეთში - ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია. სენაკის მუნიციპალიტეტისთვის «სოფლის მხარდაჭერის პროგრამის» ფარგლებში 738 000 ლარია გამოყოფილი. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმი-

ნისტრაციული სამსახურის უფროსმა, ნანა ზარანდიამ მოსახლეობას ასევე გააცნო მენჯის, ეკისა და ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელება სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიასა და სახელისუფლებო გუნდის ინიციატივით, უახლოეს პერიოდში დაიწყება.

* * *

უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში - გარე განათების ქსელის მოწყობა; ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ ზანაში - სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია; სოფელ ეწერში - გაბიონის მოწყობა; სოფელ საესებუოში - მილხიდისა და სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფელ სატყებუჩაოში - ცხაურისა და 4 ხიდ-ბოგირზე, სათავისების მოწყობა. ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში: ქვემო ფოცხოში - გარე განათების ქსელის მოწყობა; ზემო ფოცხოში - გარე განათების ქსელის მოწყობა.

* * *

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფლის ცენტრში - სკვერის მოწყობა; ზემო ჭალადიდის საბავშვო ბაღში - საბავშვო ატრაქციონების

შეძენა-მონტაჟი; თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ თეკლათში - ტრენაჟორების მოწყობა; სოფელ რეკაში - ცხაურის მოწყობა და საყანე ტერიტორიის შემოღობვა; ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ ისულაში - ორ ლოკაციაზე - ჭაბურღილის მოწყობა; ცენტრალურ გზაზე – გარე განათების ქსელის მოწყობა.

პირველი სხდომა

სენაკის სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2023 წლის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომი-

სიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს» თავმჯდომარის მოადგილეები - მანანა გვიჩია, ზაზა ყურაშვილი, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მერიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხდომაზე, ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაციის» თავმჯდომარის, რუსლან საჯაიას მიერ, წარმოდგენილ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები: პროექტის - «ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე» ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ხანდაზმულთათვის, 2022 წელს მიწოდებული მომსახურების ანგარიშის პრეზენტაცია; ინფორმაცია - შშმ პირთა ანკეტირებისა და განახლებადი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ; ინფორმაცია - შშმ პირების მიერ საბჭოსთვის შეთავაზებულ ინიციატივებზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ნატალია ხუბუამ დააანონსა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წლების შემდეგ, პირველად, ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში, შშმ პირთა საბჭოს საკუთარი ბიუჯეტი ექნება. შშმ პირთა შესახებ საზოგადოებაში (განსაკუთრებით – მაღალი კლასების მოსწავლეების) ცნობიერების ამაღლების კუთხით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მხარდაჭერილ ინიციატივებსა და აქტივობებზე, „ლაზარე 2015-ის“ დირექტორმა, ეკატერინე სოლომონიამ ისაუბრა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს შშმ პირებს - მათი თანაბარი უფლებებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების, მათ წინაშე მდგარი საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხები

2023 წლის 7 თებერვალს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

სხდომას, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა:

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ» სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 დეკემბრის N41-4122234701 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

* * *

2023 წლის 8 თებერვალს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის, საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის, საკრებულოს სივრცით ტე-

რიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების ერთობლივი სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ».

მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, გიორგი ბაღათურია.

ერთობლივ სხდომაზე, დამსწრე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობა შეფასდა დადებითად

* * *

2023 წლის 9 თებერვალს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს» სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მარინე ნანეიშვილის განცხადების განხილვა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო» გაწევრიანების თაობაზე.

მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს» თავმჯდომარე, ლევანი ჯინორია.

* * *

2023 წლის 16 თებერვალს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას, კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა უძღვებოდა. კომისიის სხდომის დაწყებამდე, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს, საკრებულოს თავჯდომარის მოადგილის ელისო ცაგურიას ხსოვნას.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ხუთი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: ნ. ხუბუა

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტს მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ი. კუპრეიშვილი.

3. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის» დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი: ბ. ქუთელია

4.ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის» დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის» დირექტორი: ვ. ვეფხვაძე

5. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების» დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების«დირექტორი: ა. ჯანჯღავა

* * *

2023 წლის 20 თებერვალს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა

სხდომას, კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. ,,მერების შეთანხმება - ,,კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე» მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

2. სენაკის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი
სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

ღირსეული „შვილობილი"

ფაზისის აკადემია უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირებაში, კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ფასეულობების დაცვის, სულიერი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

აკადემია გამოსცემს ჟურნალს „ცოტნეიდელი", რომელშიც ასახულია ქართული ცივილიზაციის კვლევა-ძიება. აკადემიის პრეზიდენტი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი, გია კვაშილავა. აკადემიის სწავლული მდივანია ეკა კარტოზია.

2023 წლის 27 იანვარს გამართულ მეექვსე სამეცნიერო სესიაზე არჩეულ იქნა ფაზისის აკადემიის ახალი წევრები. რომელთა შორის არის სენაკელი მუსიკოსი, პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ღირსების ორდენის მფლობელი, რევაზ ლაღიძის პრემიის ლაურეატი დარეჯან ფაჩულია.

ჯერ კიდევ 20 წლის წინ შემომთავაზა აკადემიის წევრობა ფაზისის აკადემიის ყოფილმა პრეზიდენტმა, აწ. გარდაცვლილმა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ – თქვა ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა დარეჯანმა. მასთან ძალიან ლამაზი, შემოქმედებითი ურთიერთობა მქონდა მაშინ, როცა ის ხობის რაიკომის მდივანი იყო, მე კი ზემო ქვალონის სკოლაში ვმუშაობდი გუნდის ხელმძღვანელად. ჯერ ჩემმა ოჯახურმა პრობლემებმა ,,შემიშალა" ხელი, შემდეგ ბა-

ტონი ნუგზარის გარდაცვალებამ.

სამუსიკო სკოლის პარალელურად ვმუშაობ სკოლა-ლიცეუმში. ჩემი მოსწავლეები ხშირად ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ონლაინ კონფერენციებში, რომელიც იმართება ჩვენი თანამემამულის, სენაკის საპატიო მოქალაქის, საქართველოსა და ბრიტანეთის განსაკუთრებული ღვაწლის აღიარების კავალერის ,,ბრიტანეთის საუნჯე პედაგოგის"... ქალბატონ ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის ინიციატივით. აღნიშნულ კონფერენციებში ლექციებს კითხულობს ბატონი გია კვაშილავა, რომელმაც ნახა ჩვენი მოსწავლეების გამოსვლა და მოეწონა. ქალბატონმა ლიანამ მომცა რეკომენდაცია, რომ ავერჩიეთ აკადემიის წევრად.

წევრად არჩევას წინ უძღოდა ძალიან საინტერესო გასაუბრება. მე ვარ აკადემიის ერთადერთი წევრი ხელოვნების სფეროდან, რაც ერთხმად აღნიშნეს იქ მყოფმა მეცნიერებმა: ხელოვნების მუშაკი შემოგვიერთდა, რომელიც სულ სხვა სიოს შემოიტანს ჩვენს საქმიანობაში.

ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა ვიყო ამ დიდებული ადამიანების გვერდით და ვიმოღვაწო მათთან ერთად....

დარწმუნებული ვარ ჩემს შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვიყენებ და მე ვიქნები ღირსეული ,,შვილობილი" ამ დიდებული ოჯახისა რომელსაც ფაზისის აკადემია ჰქვია.

ვულოცავთ ქალბატონ დარეჯან ფაჩულიას ფაზისის აკადემიის წევრად არჩევას, ვუსურვებთ ნაყოფიერ და წარმატებულ მოღვაწეობას.

მ. გერგაია

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. გრძელდება ძლიერი ქარისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა. ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება მრავალბინიანი კორპუსების სახურავების გადახურვის სამუშაოები. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად გაეცნო. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულების შესაბამისად, მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის მყისიერი რეაგირების შედეგად, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის სენაკის მუნიციპალიტეტს 1 580 000 ლარი გამოეყო, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპენსაციისთვის – 208 000 ლარი. ამ ეტაპზე კომპენსაცია 318-მა დაზარალებულმა ოჯახმა მიიღო.

სამუშაო შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, პარტნიორებთან თანამშრომლობით, იწყებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების განხორციელებას. მუნიციპალიტეტი ჩართულია პროექტში - PACA, რაც გულისხმობს კონკურენტული უპირატესობის ამაღლებას თანამონაწილეობის გზით. ამ საპილოტე პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულია სამი ქალაქი - სენაკი, ფოთი და ზუგდიდი .,,PACA-კონკურენტული უპირატესობის ამაღლება თანამონაწილეობის გზით" ფარგლებში, მუნიციპალიტეტი, პარტნიორ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ახორციელებს საჯარო და კერძო სექტორებს შორის კომუნიკაციას. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში გაიმართა ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრები - მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლებს შორის. ვორქშოფში მონაწილეობა სენაკის მუნიპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან ერთად მიიღო. პროექტი ხორციელდება ეროვნულ სამუშაო ჯგუფთან - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

მიმდინარე სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საოდიშარიოს უბანში, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი, რომლის ღირებულება 359 565 ლარს შეადგენს, ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება. საგზაო ინფრასტურუქტურული სამუშაოების მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან და თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან ერთად გაეცნო. ,,გავეცანი ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საოდიშარიოს უბანში მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, შევხვდი ადგილობრივ მცხოვრებლებს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რამდენიმე ლოკაციაზე, ინტენსიურ რეჟიმში ვახორციელებთ საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. 2023 წელი სენაკში, სიახლეებით, მრავალი სასიკეთო პროექტის განხორციელებით, ახალი შესაძლებლობებით გამორჩეული წელი იქნება» - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

რეაბილიტაცია გრძელდება

სენაკის მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესი გრძელდება. ამ დროისთვის მიმდინარეობს დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ისტორიული შენობის პირველი, მეორე და მესამე სართულების, სხვადასხვა სივრცეების რეაბილიტაცია, ეწყობა ელექტროგაყვანილობის, წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სადრენაჟე სისტემები, იგეგმება საკონცერტო დარბაზის სკამების ახლით შეცვლა.

რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 279 977 ლარს შეადგენს. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან და თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან ერთად გაეცნო.

სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში განხორციელდა სცენის დემონტაჟი და შეიცვალა ახლით, მოეწყო სასცენო განათების სისტემა და ჩატარდა სხვა სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის ,,განახლებული რეგიონების» ფარგლებში ასევე დასრულდა ექსტერიერის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის შენობა 34 წლიანი ისტორიის მქონე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, სადაც 300-მდე მოსწავლე-ახალგაზრდა სხვადასხვა სერვისით სარგებლობს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

კოლხეთი 100

ისტორიის კვალდაკვალ

როგორც წინა ნომერში ავღნიშნავდით 1923 წლის სენაკის სტამბაში დაბეჭდილი ,,კომუნა" იყო პირველი ნაბეჭდი გაზეთი სენაკის მაზრისა, რომელმაც 1929 წელს სახელწოდება შეიცვალა „მთლიანი კოლექტივიზაციის" სახელით. ის იყო „ს.კ.პ.(ბ)(ცხაკაიას (სენაკი) რაიკომისა და რაიაღმასკომის ორგანო". არც ეს გაზეთია სრულყოფილად შემორჩენილი. მხოლოდ 1935 წლიდან იძებნება გარკვეული ეგზემპლარები. „მთლიანი კოლექტივიზაციის" ათვლის წერტილის დასადგენად საყურადღებოა გაზეთის სახელწოდებასა და პრიამბულას შორის მოთავსებული წარწერა -- „გამოცემის მეექვსე წელი" (1935). აღნიშნული აზუსტებს და უტყუარს ხდის „მთლიანი კოლექტივიზაციის" სახელწოდებით გაზეთის გამოსვლის თარიღს.

,,მთლიან კოლექტივიზაციაში" მოცემულია ეპოქის შესატყვისი თემები და საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც ნათელ სურათს გვიქმნიან სენაკზე, დღის წესრიგში მდარ საკითხებზე, პრიორიტეტებზე, მიღწევებზე. ნაკლოვანებებზე...

ვფიქრობთ საინტერესო იქნება შემოგთავაზოთ ჩვენი გაზეთებიდან სხვადასხვა დროის პულსაციით დაღდასმული წერილები. დღეისთვის შევარჩიეთ რვა ათეულზე მეტი წლის წინ დაწერილი კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით გაჯერებული საინფორმაციო კორესპონდენცია.

ცხაკაიას მომღერალთა გუნდი ტფილისში

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის გამოწვევით ცხაკაიას რაიონის ხალხური მომღერალთა გუნდი ამხ.რ. შელეგიას ხელმძღვანელობით ა/წ 20 ივნისს ჩავიდა ქალაქ ტფილისს, გრამაფონის ფირფიტებზე სიმღერების ჩასაწერად და დაჰყო იქ 28 ივნისამდე. გრამაფონის ფირფიტებზე ჩაწერილი იქნა 10 სხვა და სხვა სიმღერა: „კუჩხა ბედინერა" „მადო ჩქიმი არაბა", „ფშკერი" (აფხაზური), „ვოისა", სიქოული ბატა", „ერეხელი", (ჩონგურზე, „კეისრული", „ჰარირა" (საცეკვავო), „ლაშქრული" (უტუ მიქავასი) და სხვა.

გარდა ამისა, გუნდს ჰქონდა სპეციალური კონცერტი ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

გუნდმა რამდენიმე სიმღერის შესრულებთ მონაწილეობა მიიღო უკრაინის ფრანკოს სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა შეხვედრაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან და საქართველოს ხელოვნების მუშაკებთან.

გუნდმა ღირსეული შეფასება დაიმსახურა, როგორც აღნიშნულ საღამოზე ისე ფირფიტებზე ჩამწერი ბრიგადის მხრივ.

აღნიშნული იქნა გუნდის მეტად ნაყოფიერი და მაღალი მხატვრული მუშაობა ხალხური სიმღერების შეგროვება-დამუშავებისა და სიწმინდის დაცვის საქმეში.

გუნდი ხსენებული შეფასების შედეგად 1936 წელს მიიღებს ერთდროული დახმარების სახით ოციათას მანეთს, 1937 წლისთვის დასმულია საკითხი გუნდის სახ. ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ.

გაზეთი „მთლიანი კოლექტივიზაცია"
1936 წელი, №34

რეზო ადამია – 85

ჩვენთ ძვირფასთ მეგობართ!



საქართველოს მწერალთა კავშირი, ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, მრავალწახნაგოვანი ნიჭიერებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენ, გამორჩეული, თავისთავადი სტილის მქონე ფერმწერმა მოახერხეთ დამკვიდრება თანამედროვე წამყვან ქართველ მხატვართა შორის, მოახერხეთ საკუთარი ნიშის პოვნა ქართულ მხატვრობაში და ეს ყოველივე შესძელით მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის, მართლაც რომ ტიტანური გარჯისა და რუდუნების შედეგად. გვახარებს ის გარემოებაც, რომ დიდებული ხატმწერი ხართ და ამ ურთულეს და მეტად საპასუხისმგებლო დარგში ფერწერისა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეთ. თქვენს მიერ შექმნილი ხატები დასვენებულია საქართველოსა და უცხოეთის არაერთ ტაძარსა თუ ეკლესიაში.

თქვენი ფერწერული ტილოები გამოფენილია როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში, ჩეხეთსა და ლატვიაში, პოლონეთსა და რუსეთში... რაც ყველაზე საგულისხმოდ გვესახება, ისაა, რომ თქვენმა მხატვრობამ აღიარება ჰპოვა პარიზში, მხატვართა მექაში, სადაც შინაურ შემოქმედად მიაჩნიხართ და სადაც სისტემატურად გიწვევენ შემოქმედებითი მივლინებით.

ჩვენ, თქვენს მეგობრებს, მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი მშვენიერი მხატვრობა ქართულ პოეზიასთანაა წილნაყარი და მისი თვალუწვდენელი ლაჟვარდებიდან იღებს სათავეს... სწორედ ამ გარემოებამ აგაღებინათ ხელში ყალამთან ერთად კალამიც და მწერლობაშიც გათქმევინათ წონადი სიტყვა.

უკვე ცხრა წიგნის ავტორი ხართ, რომლებშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ესეისტიკა, პროზაული თუ მეცნიერული წიაღსვლები («ერი, აკაკი და სამყარო», «ვაჟა-ფშაველა და დრო», «სისხლი და ცრემლი», «უკვდავებაა სიკვდილში», «შედევრები და მარადიულობა», «დაუოკებელი სული ბობოქრობაა, მერანი», «კონსტანტინე», «წმინდა ნინო», «მზე»). ამ წიგნებით, რომლებიც ქართული მწერლობის კორიფეებს ეძღვნება, ღრმად ჩაგვახედეთ მათი სულის უღრანებში თუნდაც ვაჟასადმი მიძღვნილი წიგნი რად ღირს, რომელშიც ახლებურად დაგვანახეთ ცალთვალა გენიოსის ფართო თვალსაწიერი, რომელსაც განახევრებული მხედველობა ხელს არ უშლიდა ადამიანის არსში სრულად გარკვევაში. როგორ მოეფერეთ მარტოობისთვის, მარტოსულობისთვის განწირულ ტერენტი გრანელის სულს, რომელიც კოსმიურ პოეზიას ჰქმნიდა და ანგელოზის დაჭრილი ფრთებით ესალბუნებოდა მშობელი ქვეყნის იარებს. შეისწავლეთ მისი ნახატები და ყველასთვის საცნაური გახადეთ, რომ ტერენტი გრანელი ვასილ კანდინსკის, ფერნარდ ლეჟეს, ხუან მიროს, პაბლო პიკასოს, მარკ შაგალის დარი მხატვარი ყოფილა...

ბოლო წლებში შექმნილი რომანები «წმინდა ნინო» და «მზე» მწერლური ძალმოსილების მკაფიო ნიმუშებია.

საინტერესო წერილები მიუძღვენით მიქელანჯელოსა და ნიკო ფიროსმანაშვილს, ზაქარია ფალიაშვილსა და ლადო გუდიაშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გალაკტიონ ტაბიძეს...

თქვენი მრავალმხრივი, უაღრესად საინტერესო მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის (2), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, გურამ რჩეულიშვილის და ტერენტი გრანელის სახელობის პრემიები.

ბატონო რეზო!

გვიხარია, რომ ძველებური შემართებით ირჯებით. ბოლო წლებში განსაკუთრებით დიდი გალაკტიონ ტაბიძე იქცა თქვენი შთაგონების მუზად, რომელსაც ოთხი პერსონალური გამოფენა მიუძღვენით...

კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს თხემით ტერფამდე დახვეწილ ინტელექტუალს, კოლეგას და პიროვნებას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

«პარლასკვლავიანი ლამეები ლამეებელოდან»

შემოქმედებითად ნაყოფიერი და დატვირთული აღმოჩნდა გასული სეზონი ბატონი რეზო ადამიასთვის. მან თავის ოდაბადეში, ბუნების წიაღში ნახატთა სერია შექმნა, რომელთა შორის სხვადასხვა რაკურსით დანახული მთვარის ორმოცამდე პეიზაჟია.

ღამის ბინდში, როცა მრუმე ფერი მოსავს სამყაროს, ყველას და ყველაფერს სძინავს, მხატვარი, თითქო პაემანზეაო მთავრეს ელოდება, დგას მოლბერტთან, შუბლზე და მაჯაზე სანათ დამაგრებული და ხაზებს ავლებს, ფერებს აჯერებს... შთაგონება სწვევია და წარმოსახვაში ჩაფლულა.

თავისუფალ დროს ბაღში ფუსფუსებს, ვარდებს ელოლიავება, სხლავს, ჭიგოს აშველებს, მერე და მერე ფანტაზიაც ეძალება და ხან ესკიზს აკეთებს, ხან ჩანაწერებს. - ხშირად ღამე მეღვიძება, იდეები მეძალება, მაშინ ვდგები და თითოეულ მათგანს უბის წიგნაკში ვინიშნავ, რომ არ დამავიწყდეს, შემდეგ ამ ჩანაწერებს ვავსებ, განვავრცობ და ჩემი პროზაული ნაწარმოებებიც ასე იქმნებაო-გვეუბნება.

სამუშაო ოთახის კედლები მუზეუმი გეგონებათ, იმდენი ნამუშევარია გამოფენილი.... აი ესენი ახლებია – გვაკვალიანებს ავტორი.

– ბატონო რეზო, რადგან ხელოვანი, შემოქმედი ადამიანი ბრძანდებით, საუბარიც ამ კუთხით დავიწყოთ.

ლეონარდო და ვინჩისა არ იყოს, ხატვა ღმერთთან მიახლება, ღმერთთან მისვლაა. ღმერთი ფაიტონით კი არ დადის, დადის მხატვრობით, პოეზიით, პროზით, ქანდაკებით, მუსიკით ..... ამიტომ თუ ადამიანს აქვს რაიმე ზეადამიანური, ეს მხატვრობის ნიჭია, შემოქმედების ნიჭია.

მე თავად ხატვა მეორე კლასში დავიწყე, მასწავლებელმა ხატვა არ იცოდა, მე კი იმდენად მქონდა ხელი გაწაფული, რომ მეტყოდა გაკვეთილზე, გამოდი ადამია და დაფაზე მიახატე რამეო. მეც ვხატავდი ხან ვაშლს, ხან დოქს... იქედან მოყოლებული ჩემი ბავშვური სამუშაო იყო ხატვა. რაც შეეხება შემოქმედებას, მინდა გავიხსენო ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს ძალიან უბრალოდაა დაწერილი, მაგრამ ამ უბრალოებაში იმალება იდუმალება, უდიდესი საოცარი ფილოსოფია. ამიტომაც მიიღო მან ნობელის პრემია. ნაწარმოების მთავარი ღერძია თუ როგორ შეიძლება გაიმარჯვოს ადამიანმა ოკეანესთან, უდიდეს სტიქიასთან ბრძოლაში.

შემოქმედებითი პროცესი ფილოსოფიურ ხედვასაც მოიცავს. თუ არ იფილოსოფოსე, მაშინ უბრალოდ მოყოლა ამბის ყველას შეუძლია, სკოლის მოსწავლესაც კი. ერთი ნოველა მაქვს სახელწოდებით „სიკვდილი გარდაიცვალა“. ავადმყოფები, მოხუცები, დაჭრილები..; ბორგავენ, სიკვდილს ნატრობენ, იხვეწებიან სიკვდილო სადა ხარ, მოდი, მოდი, სიკვდილი კი არსად ჩანს. მთელი დედამიწა კვნესის, ერთხელაც მოვა სიკვდილი, კანონზომირება აღდგება და ხდება აღორძინება. როგორც ფლობერი ამბობდა: „მწერალს უნდა ჰქონდეს ფანტაზია, წარმოსახვა და აზროვნება“. მე მეგობარ მხატვრებსა თუ მწერლებს ხშირად ვეუბნები: ბიჭებო, ქართული სული წარმოაჩინეთ, მსოფლიოს არ სჭირდება გადმოღება. შენ თუ ერის ზნეობაზე არ ქადაგებ, ვის უნდა შენი „ზღაპრები“. მსოფლიო ხელოვნების პრეზიდენტმა ერთხელ წერილი დაწერა ჩემზე, სადაც აღნიშნა: „ხატავს სასწაულად პარიზს, ამ დროს მასში დევს ქართული სული“



მე ვთვლი რომ ხელოვნება შეწირვაა. გლეხი, რომელიც დღედაღამ მუშაობს უფრო ბედნიერია, ვიდრე ხელოვანი. ხელოვნებამ ზოგჯერ შეიძლება გაგამწაროს. რადგან მიღწეულს არ სჯერდები და გინდა უფრო მეტი გააკეთო, უკეთესი გამოგივიდეს, ამ დროს კი შედეგი არ გქონდეს. პარიზში ყოფნისას, ღამე სამჯერ ვდგებოდი და ჩემს ნამუშევრებს ვუყურებდი, ვაანალიზებდი – რა გავაკეთე და რა ვერა. აქაც ასე ვაგრძელებ.

ღამე ვდგები და ახალ ნახატებს კრიტიკული თვალით ვუმზერ: ვფიქრობ, რას მივაღწიე, ხომ არ განვმეორდი? გამეორება საშინელებაა, ამიტომ წამებაა, შეწირვაა, ტანჯვაა ხელოვანის გზა. თუმცა სიყვარული (ხელოვნების, შემოქმედების...), რომელიც ყველაფერში ვრცელდება და ათასნაირად გაძლიერებს, გაკეთებინებს შეუძლებელს. ვფიქრობ თუ ხარ ძლიერი, სიკვდილიც უნდა გიყვარდეს.

როგორ იქმნება თქვენი პეიზაჟები?

პეიზაჟის შექმნა ბუნებამ მასწავლა, ჩემმა სამყარომ, ჩემმა შინაგანმა პიროვნებამ. შემოქმედება მარტო ხატვა არ არის, ეს შინაგანი ბრძოლაა, ებრძვი შენს ნიჭს. მე თვითონ არ ვიცი ხვალ რას დავხატავ, თუ დაპროგრამებული ხარ, მაშინ გამოხვალ შაბლონური მხატვარი. როცა წარმოსახვებით, ფანტაზიით იკვებები, ზესამყა-

(გაგრძელება გვ 5)

მყისიერი, დროული რეაგირება

იანვრის ქარიშხალმა მთლიანად რეგიონში პრობლემები შექმნა, მათ შორის სენაკშიც. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის კოორდინირებულმა მოქმედებამ, სწორად დაგეგმილმა პრევენციულმა ღონისძიებებმა, საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებამ, საკვანძო საკითხების კონტროლზე აყვანამ ...შესაძლებელი გახადა პრობლემებთან გამკლავება.

სტიქიის მასშტაბებზე, სალიკვიდაციო სამუშაოებზე, დაზარალებულების კომპესანციებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ზარალის დამთვლელი სპეციალური კომისიის თავმჯდომარე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ქალბატონი ნანა ზარანდია.

– ქალბატონო ნანა, თქვენ, როგორც ზარალის დამთვლელი სპეციალური კომისიის თავმჯდომარე, რას გვეტყვით სტიქიით გამოწვეულ ზიანზე, ამ კუთხით, როგორია ზარალის მასშტაბები?

სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის 11-13 იანვარს, ძლიერი ქარის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტისა და კერძო საცხოვრებელი სახლების სახურავები, ასევე გარე განათების ქსელები. შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტის საფუძველზე იმავე დღესვე შეიქმნა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამდგენი დროებითი კომისია. მუშა-ჯგუფების მიერ შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე დადგინდა, რომ ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა 18 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის, 5 ადმინიტრაციული შენობის, 4 საბავშვო ბაღის, სკოლების, კლუბის და

ამბულატორიის შენობების სახურავები. ასევე შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად, პირველ ეტაპზე გამოვლინდა 318 საცხოვრებელი სახლის სახურავის დაზიანება.

– სტიქიის პერიოდში მუნიციპალიტეტში რა პრევენციული ღონისძიებები განხორციელდა?

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა სწრაფი რეაგირების ჯგუფები, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში გადაადგილდებოდნენ ქალაქსა თუ სოფლებში. 24 საათიანი - უწყვეტი რეჟიმით და ახდენდნენ მყისიერ, დროულ რეაგირებას პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამ ღონისძიებებში აქტიურად იყო ჩართული როგორც მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული ა(ი)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სენაკის სახანძრო-სამაშველო სამსახური, შპს „გასკო+ და სს „ენერგოპრო ჯორჯია“, სწორედ ამ კოორდინირებული მუშაობით გახდა შესაძლებელი მოგლეჯილი ხეების, გარე განათების ბოძების და ელექტრო სადენების შედეგად ჩახერგილი/ჩაკეტილი გზების გასუფთავება, ხეების გადაჭრა/გადაბელვა. გაჩენილი ხანძრების დროული ლოკალიზება.. დაზიანებული გაზსადენი მილებისა და ელექტრო სადენების აღდგენა.

– მიმდინარე ეტაპზე როგორია კომისიის მუშაობის დღის წესრიგი?

მუშა-ჯგუფების მიერ შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე, კომისიის მიერ პირველ ეტაპზე დადგენილია ზარალის სავარაუდო ოდენობა. შესაბამისად მერიის მიერ თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით საკითხი წარედგინა სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სენაკის მუნიციპალიტეტს გამოეყო საკომპენსაციო თანხები და მერის სამართლებრივი აქტების თანახმად განხორციელდა დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციების გაცემა. ამ დროისთვის სრულდება მეორე ეტაპის სამუშაოები, რის საფუძველზეც შედგენილია დეფექტური აქტები შემდგომში წარმოდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით. ასევე დამატებით გამოვლინდა სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის დაზიანება, რის თანახმადაც კომისიის მიერ დადგენილი იქნება სავარაუდო ზარალის ოდენობა. შესაბამისად საკომპენსაციო თანხების გაცემა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაო განხორციელდება გამოყოფილი თანხებიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე.

– დასრულებულია თუ არა ამ სტიქიით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრა?

პარალელურად ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების აქტიური ჩართულობით, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების გათვალისწინებით მიმდინარეობს დაზიანებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლებიც დასრულდება უახლეს დღეებში. ასევე ამ ეტაპზე დაწყებულია დაზიანებული გარე განათების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით შესყიდვის პროცედურები და ხელშეკრულების დადებისთანავე დაიწყება აღდგენა რეაბილიტაციის პროცესი.

– ქალბატონო ნანა, აღდგენითი სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა რა მოცულობისაა? დაფინანსების წყარო მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტია?

საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1788800 ლარი. ასევე ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილი იქნა სათანადო თანხა, რითაც სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის საჯარო სკოლისთვის შესყიდული იქნა საჭირო რაოდენობის ბრეზენტი.

მადლობა ქალბატონ ნანას, ჩვენი მკითხველებისათვის აქტუალურ და საჭირო თემაზე მსჯელობისა და დეტალური განხილვისათვის.

ბაჩანა სართანია

«ვარსკვლავიანი ღამეები სამეგრელოში»

(დასასრული)

როდან გზავნილებით, მრავალფეროვანი ხარ, ამიტომ ნაღდმა მხატვარმა არასოდეს არ იცის ხვალ რას გააკეთებს, რას დახატავს. მქონია შემთხვევა შედეგით გაოცებულს მეთქვა: – სული ხატავდა ჩემს ნახატს-მეთქი. ისეთი კარგი გამოსულა.

ყოველი ნაღდი პოეტი, მხატვარი სავსეა უკმარისობის გრძნობით. გოგენმა თქვა: ბუნებასთან რომ ხარ ძალიან ახლოს, ვერ შექმნი დიდ ნაწარმოებებს. ერთი ნაბიჯით უნდა დაიხიო უკან, რომ შექმნა შედევრიო.

თქვენი გამორჩეული მხატვარი?

ყველაზე მეტი საქართველოს მე-19 საუკუნეში ნიკო ფიროსმანაშვილმა გაუკეთა. ნიკალამ გადაარჩინა საქართველო. მე-19 საუკუნის ქართველი შემოქმედები, მხატვრები თუ რუსულ გავლენას განიცდიდნენ, ნიკალას მცირედი გადახვევაც არ გაუკეთება, პირიქით მან შექმნა სუფთა ქართული ხელოვნება.

პარიზში ყოფნისას ერთი ექსპერიმენტი ჩავუტარე ჩემს თავს. საგანგებოდ წავედი ლუვრში და ყველა შედევრი ხელახლა დავათვალიერე. მესამე დღეს, როცა თბილისში ჩამოვედი, წავედი ფიროსამანის მუზეუმში, მაინტერესებდა როგორი აღქმა მექნებოდა ფიროსმანის. მისი გამორჩეული ნამუშევრებით კი არ დავიწყე, არამედ ნახატით „თხა“ და ვთქვი: - ეს დერენზე მეტია, მატისზე მეტია და უახლოვდება ლეონარდო და ვინჩს. ამიტომ პირდაპირ ვაღიარებ, რომ ჩემთვის ყველაზე დიდი მხატვარი ლეონარდოს მერე არის ფიროსმანი.

სახალისო ისტორიას ხომ ვერ გაიხსენებდით?

უამრავი მეგობარი მყავს, სხვადსხვა პროფესიისა თუ რანგის. მეგობრებთან მისვლა, შეკრება, სტუმრობა ჩვეულებრივი მოვლენაა და მეც მათთან ერთად საუკეთესო დრო მაქვს გატარებული, მაგრამ იყო ერთი რამ, დალევა არასოდეს მიყვარდა და ვცდილობდი ყოველთვის თავის არიდებას. მახსოვს ერთხელ კახეთში ვართ. მოგეხსენებათ კახური ღვინო საუკეთესოა, მაგრამ მძიმე დასალევია. – ვერ დავლევ, მეგობრებო, წნევა მაქვს მეთქი-განვაცხადე. „ქალბატონო, წნევის აპარატი მოიტანეთ“ - გასძახა დიასახლისს ზურაბ ქაფიანიძემ. რა მექნა, დავმორჩილდი მათ და კარგადაც მოვილხინეთ.

ბატონო რეზო, ,,კოლხეთს” მაისში 100 წელი უსრულდება. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა თქვენი თვალთახედვა საუკუნოვანი გაზეთისადმი.

,,კოლხეთი” უნიკალური გაზეთია, რომელიც ბავშვობიდან მახსოვს. წარმოიდგინეთ კომუნისტური ეპოქიდან დაწყებული ეს გაზეთი ძლიერი იყო. რეგიონის სხვა გაზეთებთან შედარებით მან დროს გაუძლო, რატომღაც ის სულ სხვა, მარილიანი გაზეთია. მის ირგვლივ მთელი თუ არა ნახევარი სამეგრელო ტრიალებს. ამიტომ ასი წელი რაა, საუკუნეებს უნდა გაუძლოს. ჯერ სახელწოდება როგორი აქვს, კოლხეთი ეს უძველესი, ისტორიული სახელწოდებაა, რომელიც არ უნდა შეიცვალოს. ის ,,კოლხეთად“ უნდა დარჩეს სამუდამოდ.

კარგი იქნება გაზეთი ,,კოლხეთი” ფერწერითაც დაინტერესდეს, ზოგჯერ შეიძლება ფერწერის ცალკეულ მომენტებზე მსჯელობა. ფერწერა არაა ტრადიციული, საქართველოში წინათ დაზგური მონუმენტური ხელოვნება იყო, ის მე 19 საუკუნეში საფრანგეთში ჩაისახა...

ბატონმა რეზომ როგორც გვითხრა – მუშაობს ნახატების სერიაზე „ვარსკვლავიანი ღამეები სამეგრელოში“, გაზაფხულზე ისევ ესტუმრება თავის ოდაბადეს და თემას გააგრძელებს.

ჩვენი რესპონდენტი არცთუ ისე დიდი ხნის წინ ბაბუა გახდა. ვულოცავთ ,,მაკუჩხური” შვილიშვილის შეძენას. ამასთან გვინდა დაბადების დღეც მივულოცოთ. განვლილი წლები ხომ შემოქმედებითი სიმწიფით, ჯილდოებით, დამსახურებებით, პროზაული ნაწარმოებებითა და ნახატებით გაჯერებული, ცხოვრების იმ კიბის ნაწილია, რომელიც შთამბეჭდავად, მთელი სისრულით წარმოაჩენს მას. წინ ახალი სიმაღლეებია, გონებაში კი უამრავი იდეა და ხედვაა მომწიფებული, დაგროვილი და განსახორციელებელი.

ვუსურვებთ თითოეული ჩანაფიქრის ხორცშესხმას, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

ნინო სართანია

მრავალწლიანი გამოცდილება, პროფესიის ერთგულება



მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მენჯის საჯარო სკოლა, რომლის დირექტორი ქალბატონი ლია თოფურია არის ჩვენი დღევანდელი რესონდენტი.

ტრადიციულ ქართულ ოჯახში გაზრდილი ქართველი ქალბატონი უკვე მრავალი წელია სკოლის ცხოვრებით ცხოვრობს. როგორც თვითონ ამბობს სკოლა მისი მეორე ოჯახია. ცხოვრების კრედო კი კარგი საქმის კეთება და ადამიანების უანგაროდ დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალი წელია ხელმძღვანელად მუშაობს, არ არის ავტორიტარი, მაგრამ სარგებლობს უდიდესი ავტორიტეტით კოლეგებსა და მეგობრებში. გააჩნია ბევრი ისეთ თვისება, რომელიც აუცილებელია ხელმძღვანელისთვის. მისთვის ამოსავალი წერტილი არის მოსწავლე, მშობელი და კოლექტივი.

ქალბატონმა ლიამ წარჩინებით დაამთავრა ნოქალაქევის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იგი აღნიშნავს, რომ სკოლიდან ძალიან ბევრი რამ ისწავლა, მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ოჯახს, მშობლებს, რომლებიც უბრალო ადამიანები იყვნენ, თუმცა კარგად იცოდნენ განათლების ფასი. როგორც თავად გვეუბნება „მეცნიერებაც და ქვეყნის სიყვარულიც ოჯახში ვისწავლეო“.

ჰყავს შესანიშნავი ოჯახი. მეუღლე, რომელიც მშენებელ-ინჟინერია და სამი შვილი. უფროსი ქალიშვილი კოკოშა ფაჩულია – ნეფროლოგია, ვაჟი – უჩა ფაჩულია მშენებელი და უმცროსი ქალიშვილი – მარიამ ფაჩულია სწავლობს სასურსათო ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, არის დოქტორანტი.

რედაქცია დაინტერესდა ქალბატონი ლიას საქმიანობით. გთავაზობთ ინტერვიუს სკოლის პრობლემებისა და სიახლეების შესახებ.

– ქალბატონო ლია, რამდენად კვალიფიციური პედაგოგებით არის დაკომპლექტებული სკოლა, გყავთ თუ არა სერთიფიცირებული მასწავლებლები?

ჩვენს სკოლაში გვყავს 22 პედაგოგი და ყველას კვალიფიცირება აქვს უმაღლესი. თითოეული პედაგოგი ორიენტირებულია შედეგზე, მაგრამ სამწუხაროდ ამ შედეგს როგორც გვინდა ისე ვერ ვაღწევთ, რადგან მოგეხსენებათ სოფლად სოციალური მდგომარეობა არის უმძიმესი. როდესაც ბავშვი მშობლებთან კომუნიკაციის და ურთიერთობის დეფიციტს განიცდის ამ დროს მასწავლებელზე უდაოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული, მას გაორმაგებულად უწევს მუშაობა ასეთი ტიპის კონტიგნტთან. ამ მხრივ ჩემი პედაგოგები არიან შეუდარებელნი. მე როგორც სკოლის ხელმძღვანელი დიდად ვაფასებ და მადლიერი ვარ ამ თავდაუზოგავი შრომისთვის.

–რამდენი მოსწავლე გერიცხებთ სკოლში?

გვერიცხება 103 მოსწავლე. ჩვენი სკოლა დიდი სკოლაა და რა თქმა უნდა შესაძლებლობა გვაქვს უფრო მეტი მოსწავლეც გვყავდეს, გვყავდა კიდეც. აქ არასდროს არ უჭირდათ ბავშვებს სკოლაში სიარული. ძირითადად ჩვენთან დადის მენჯის უბნის ბავშვები. მოგეხსენებათ ეს უბანი არის საკმაოდ დიდი ტერიტორია, დაახლოებით სამი წლის წინ აღადგინეს სოფლებს შუა დამაკავშირებელი ხიდი და გაკეთდა გზა. ეს სერიოზული პრობლემა აღმოიფხვრა, გვყავს საკუთარი ტრანსპორტი, სკოლაში ფუნქციონირებს ყველა კლასი შესაბამისად დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, წესით ამ უბნის მოსახლეობამ არ უნდა წაიყვანოს ბავშვი სხვა სკოლაში. კონტინგენტის ნაკლებობას არ განვიცდით, მაგრამ იმედი გვაქვს ნელ-ნელა კიდევ შემოგვემატებიან ბავშვები.

–რამდენიმე კვირის წინ ქარმა მნიშვნელოვნად დააზიანა სახურავი და პრობლემები შეექმნა სკოლას. რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს მომავალში. რა დროს ჭირდება სკოლის სრულ რეაბილიტაციას?

ეს იყო მართლაც სტიქიის სამი საშინელი დღე. განადგურდა ეზოს ულამაზესი ნარგავები, ქარმა მთლიანად მოგლიჯა მრავალწლიანი ხეები. რომლებიც ჩვენს ეზოს ამშვენებდა. საშინლად მტკივა გული, როცა ამ ყველაფერს ვუყურებ. ჩვენ ულამაზესი ეზო გვქონდა, რა თქმა უნდა ამ ხეებს ვერ დავაბრუნებთ. მაგრამ იმედი მაქვს ახალ ნარგავებს შევმატებთ. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად დაზიანდა სკოლის სახურავის გარკვეული ნაწილი და ქარმა მთლიანად გადახსნა. თავიდანვე ჩვენი ძალებით შევძელით, რაღაც ნაწილი გაგვემაგრებინა, მაგრამ მოგეხსენებათ ძლიერი ქარის დროს მუშაობა მეტად რთულია. ამ გამაგრებით სამუშაოებში პირადად ვიღებდი მონაწილეობას. გვერდით ვედექი ჩვენს ხელოსნებს და ჩემი შეასძლ;ებლობის ფარგლებში ვეხმარებოდი. დიდი დახმარება გაგვიწია მუნიციპალიტეტის მერიამ, განათლების სამინისტრომ და ადგილობრივმა რესურს ცენტრმა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით ბიუჯეტში გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა სათანადო თანხა, რითაც შევიძინეთ საჭირო რაოდენობის ბრეზენტი. ამის შემდეგ განათლების სამინისტროდან იყვნენ ინფრასტრუქტურის წარმომადგენლები გააკეთეს აზომვითი ნახაზები და შეგვპირდნენ დაზიანებული ნაწილის გაკეთებას. რაც შეეხება სკოლის მთლიან რეაბილიტაციას. სკოლა ჩასმულია მსოფლიო ბანკის რემონტში და ამის შემდეგ ველოდებით შენობის სრულ რეაბილიტაციას. სენაკში სულ სამი სკოლაა ამ ბანკის ფონდში ჩასმულია თეკლათის, მენჯის და პირველი სკოლები. რაც შეეხება ფოცხოს სკოლას აქ უკვე წარმატებით განხორციელდა ეს პროექტი. ჩვენ დიდი იმედითა და მოლოდინით შევცქერით პროექტის განხორციელებას.

– როგორია თქვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?

შემიძლია ვთქვა რომ საკმაოდ კარგი მატერიალურ ტექნიკური ბაზა გვქონდა. 2005 წელს პროექტ „ირმის ნახტომის“ ფარგლებში შემოვიტანეთ კომპიუტერული ტექნოლოგიები. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ დღესდღეობით განვიცდით ამ ტექნოლოგიების დეფიციტს და ვსაჭიროებთ შევსება-განახლებას. შემიძლია გითხრათ, რომ ყველა საკლასო ოთახი გვაქვს მოწესრიგებული. ჩვენს ბავშვებს აქვთ სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სპეციალური კაბინეტი ხელოვნების გაკვეთილისთვის, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი, გვყავს ექიმი. სკოლში მოწესრიგებული და გარემონტებულია სველი წერტილები, ფუნქციონირებს სახანძრო კუთხე, გვაქვს ცენტრალური გათბობა. ჩვენი გათბობის ქვაბი გათვლილია მყარ საწვავზე. შეშა-ქვანახშირი და ძირითადად შეშით ვთბებით. ერთ ზამთარს ქვანახშირით ბატონი დემურ გადელია დაგვეხმარა და უფასოდ ჩამოგვიტანა მარტვილიდან, რომელიც ორი წელი გვქონდა. ამის გამო დიდ მადლიერებას გამოვხატავთ მის მიმართ. მას შემდეგ ვმარაგდებით შეშით. ამჟამად კი გვაქვს ბრეკეტები, რომელსაც განათლების სამინიტრო გვაწვდის და უზრუნველყოფს ზამთრის სეზონს. უდავოა, რომ ეს ძალიან დიდ პრობლემას გვიხსნის.

–ღებულობს თუ არა სკოლა მონაწილეობას საგანმანათლებლო პროექტებში?

ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ძალიან ბევრ ორგანიზაციასთან. არაფორმალური განათლება, სისტემის პროგრამა სკოლაში, რომლის ხელმძღვანელიც ჩვენთან არის უტა კილასონია. ამასთანავე ჩართული ვართ მესხიას სახელობის უნივერსიტეტთან კოლეჯში. მათ ლაბორატორიებში მერვე-მეათე კლასის მოსწავლეები გადიან სწავლებას და პრაქტიკას. გარდა ამისა ხელშეკრულება გვაქვს დადებული ეტალონთან და ვმონაწილეობთ კონკურსებში. ახლახანს იყო ილიას დღეები, ძალიან ხშირად ვღებულობთ მონაწილეობას ბიბლიოთეკაში ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოებში. ოკუპაციის კვირეულთან დაკავშირებით რაიონული ღონისძიება ტარდება მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში, აკაკი ხორავას სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართება ფილმის ჩვენება, სადაც ჩამოდის ნიკოლოზ წულუკიძე. აქაც ვღებულობთ მონაწილეობას. ასე რომ სკოლა აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროექტებში.

– არიან თუ არა სკოლის კურსდამთავრებულები დღეს საზოგადოებრივ სფეროში სხვადასხვა პოზიციაზე?

რათქმაუნდა ძალიან ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული გვყავს, რომლებიც რეალიზებულები არიან თავიანთ პროფესიაში. ამ მრავალთაგან ერთ-ერთი არის არაჩვეულებრივი პიროვნება ირაკლი გოგია, რომელიც ამჟამად მოღვაწეობს გერმანიაში და არის წარმატებული ქირურგი. ასევე ზაზა ხვიტია, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მუშაობს, არის წარმატებული პიროვნება და კარგი ადამიანი. ძმები გვასალიები, რომლებიც მსახურობენ სამხედრო კონტრაქტით. ერთ-ერთს მამუკა გვასალიას 2008 წლის ომის დროს მიღებული აქვს წმინდა გიორგის მედალი. ბიჭები არიან ტანკისტები. აგრეთვე არ ვიქნები მიკერძოებული თუ ვიტყვი, რომ წარმატებულია თავის პროფესიაში ჩემი შვილი, რომელმაც ჩვენი სკოლა დაამთავრა და წარმატებით მუშაობს უროლოგიის ეროვნულ ცენტრში ნეფროლოგად. აგრეთვე არ შემიძლია არ ავღნიშნო ლევან და ნიკა ხაბურძანიები, ოქროსმედალოსნები, რომლებიც დღეს ერთ-ერთ დიდ კომპანიაში მუშაობენ პროგრამისტებად. ზოგადად ძალიან ბევრი გვყავს ასეთი ახალგაზრდები სამწუხაროდ ყველას ვერ ჩამოვთვლი და იმედია არ მიწყენენ.

გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია ქალბატონ ლიას და მის არაჩვეულებრივ კოლექტივს უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში და ყველა პრობლემის მოგვარებას.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

ხსოვნა

თემურ ყურაშვილი



43 წლის ასაკში მოულოდნელმა ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა შენი სიცოცხლე. სენაკში დაბადებული და გაზრდილი დროებით მოსკოვში ცხოვრობდი. ბიზნესის სფეროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიე. პროფესიით იურისტმა - შენს სპეციალობაში საკმარისი ცოდნა და გამოცდილება დააგროვე. მაგრამ მარკეტინგული ნიჭის წყალობით კვლავ ბიზნესი არჩიე. გიყვარდა ხელოვნება, დაუფლებული იყავი საკრავ ინსტრუმენტებს.

რომ არა ის ავბედითი შემთხვევა, საბოლოოდ შენს ქვეყანაში აპირებდი დაბრუნებას. სენაკში ყოველი ხე ბუჩქი, ქუჩა, განსაკუთრებით კი შენი უბანი გიყვარდა.

როცა ჩამოხვიდოდი ყველას გამორჩეულად ესათუთებოდი, ეფერებოდი მშობლებს, დისშვილებს ქეთი და გიორგი ხარბედიებს განსაკუთრებული საჩუქრებით ანებივრებდი.

უდიდესი მწუხარება დაატყდათ თავს შენს მშობლებს თენგოს და ლამზირას, დას ნათიას, სიძეს ვეფხვია ხარბედიას. დაოჯახება ვერ მოასწარი, არადა როგორ ვიამაყებდით შენსავით ჭკვიანი და ლამაზი შთამომავლებით.

ძვირფასო ძმაო თემურ, ძნელია უშენობა. 21 თებერვალს 6 თვე სრულდება შენი ტრაგიკული გარდაცვალებიდან. შემზარავია იმაზე ფიქრი, რომ ამ ზაფხულს არ ეწვევი შენს მშობლიურ კარ-მიდამოს, შენთვის ჩვეული მხიარული ღიმილით არ მოგვაპყრობ თვალებს.

ძმაო თემურ, ჩვენს გულებში იარსებებ დაუსაბამოდ, იქნები მარად ცოცხალი, 6 თვე კი არა, ექვსი ათეულიც რომ გავიდეს ვერ წაშლის შენს სახელს და ვერ დაგვავიწყებს ოჯახის წევრებისთვის გაღებულ სიკეთეს. ვერაფერი უწამლებს ამ გაუსაძლის ტკივილს, რომელსაც უშენობა ჰქვია.

ნეტარ იყოს შენს სახელზე დანთებული ყველა სანთელი.

და ნათია ყურაშვილი

ოჯახით

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს გამორჩეული სენაკელის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი წევრის

როზმან ქამადაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მიწისძვრის საკალაღო შედეგები

ტრაგედიამ არ იცის დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, კეთილი და ბოროტი... ის არ გაძლევს არჩევანის საშუალებას. მოდის უპირობოდ, გაფრთხილების გარეშე და წამში განგრევს, გაქრობს, ბედს გაწყვეტინებს.

ასე დაანგრია ქალაქები და შეიწირა უამრავი სიცოცხლე თურქეთსა და სირიაში მომხდარმა მიწისძვრამ. მიწისქვეშ მოყოლილი ადამიანებს მაშველები თავიანთი სიცოცხლის რისკის ფასად ეძებენ, ხან პოულობენ, ხან არა. უმძიმესია იმათი ხვედრი, რომელთაც ოჯახის წევრები ისე დაკარგეს ნეშტსაც ვერ პოულობენ რომ დაკრძალონ.

ამ ტარაგედიას სენაკელი ქალბატონიც ემსხვერპლა. ის იყო გამორჩეულად სათნო, კეთილშობილი ადამიანი. უსაყვარლესი დედა და ბებია, ოჯახის, მეგობრების, ახლობლების, მოყვარული, მუდამ ღიმილიანი და მომფერებელი.

განცხადება

გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი/ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველო

გთხოვთ, ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინება (ცნობა) გამოქვეყნდეს შემდეგი სახით: მარტვილის მაგისტრატ სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N421210621004541776, გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს განცხადების საფუძველზე, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთია – სატრანსპორტო საშუალება, ავტომობილი გაზ-63, გამოშვების წელი – 1967, ძარის ნომერი – 3-904818, ძრავის N3861264, საქართველოში რეგისტრირებული არ არის, განბაჟების შესახებ ინფორმაცია უცნობია.

ავტომანქანა მასზე მოთავსებული ტვირთით განთავსებულია ქ.სენაკში, ჭავჭავაძის ქ. N20-ში, შ.პ.ს "დიო"-ს სპეციალურ ავტოსადგომზე. ავტომანქანის მეპატრონე ვალდებულია, პუბლიკაციის დღიდან 3 თვის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება ავტომანქანაზე თავისი უფლების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი საბუთის დედანიც. ხე-ტყის უკანონო მოპოვების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანი წარმოადგენს 527,05 ლარს.

გრიგოლ ჯანაშია,

სამმართველოს უფროსი

მუზეუმი და საზოგადოება

მუზეუმი არის არაკომერციული, ღია, მუდმივმოქმედი დაწესებულება, რომელიც ემსახურება საზოგადოებას, ითვალისწინებს მის ინტერესებს და ცდილობს იყოს საზოგადოებისათვის საინტერესო და შინაარსიანი. იცავს და შეისწავლის, პოპულარიზაციას უწევს ადამიანის მატერიალურ და არამატერიალურ საბუთებს.

ქალაქ სენაკში არსებული ჟიული შარტავასა და მისსივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, არნოლდ ჩიქობავასა და თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმებში ხდება მატერიალური და სულიერი კულტურის, საბუნებისმეტყველო, ისტორიულ მასალათა აღრიცხვა და დაცვა.

მუზეუმთან თანამშრომლობის მიზანი და ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის საინტერესო და მიმზიდველი იყოს მუზეუმში არსებული მასალები, რომელიც იძლევა გარკვეულ ცოდნას, -დავფიქრდეთ ვინ ვიყავით გუშინ.

მუზეუმში სათავე დაედო ციკლს დევიზით ,,სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ", რომლის მიზანი იყო ჩვენი კუთხის ისტორიის, კულტურის, ფოლკლორის და ტოპონიმიკის შესწავლა - ჩართულობა საზოგადოების, მოსწავლე-ახალგაზრდობის, სოფლის სკოლების.

საზოგადოებისათვის საინტერესო ხდება ფოტო-მასალების გამოფენა. ფონდები ივსება ჟიული შარტავასა და სენაკიდან აფხაზეთის ომში დაღუპულთა ცხოვრების და საგმირო საქმეების ამსახველი მასალებით, პირადი ნივთებით.

მუზეუმებში ხდება პერიოდულად ექსპონატების სამეცნიერო, საინვეტარიზაციო აღრიცხვა, ფოტოსტენდების განახლება და ახლით შევსება, რაც იწვევს საზოგადოების დაინტერესებას, ახლის დანახვის შესაძლებლობას.

მუზეუმი ფართო პროპაგანდას ეწევა სამეცნიერო თემების დამუშავებით და გასვლითი ღონისძიებების ჩატარებით, რაშიც საჭირო და აუცილებელია საზოგადოების ჩართულობა.

სოფელ ეკში, თეოფანე დავითაიასა და ძველ სენაკში არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმებში საზოგადოების დაინტერესებული პირები გაეცნობიან ორი სენაკელი მეცნიერის სამეცნიერო მასალებს, რაც ძალიან საინტერესოა და დაეხმარება საზოგადოების გარკვეულ ფენებს სიახლის შეცნობაში.

მუზეუმებში საზოგადოების თანამონაწილეობით ტარდება ღონისძიება ,,ღამე მუზეუმში", რაც ძალიან საინტერესო და ახალია.

მუზეუმის თანამშრომლებს სურთ ჰქონდეთ გარკვეული ურთიერთობა საზოგადოებასთან, რომლებიც უნდა დაეხმარონ და მიაწოდონ ინფორმაციები სხვადასხვა კუთხეში არსებული არქეოლოგიური თუ მეცნიერული მონაცემების შესახებ-რათა შეივსოს მუზეუმის ფონდი ახალი მასალებით.

მუზეუმებს ჰყავს ბევრი დამთვალიერებელი, რაც აისახება მუზეუმის თანამშრომლების მუშაობაზე. ამიტომ საინტერესო რომ გახდეს მათი მუშაობა საზოგადოების მიმართ არის თხოვნა მეტი კავშირი ქონდეთ მუზეუმებთან და დაინტერესდნენ მათი მუშაობით, შეძლებისდაგვარად დაეხმარონ მუზეუმებს გარკვეული პრობლემების აღმოფხვრაში.

და ბოლოს მუზეუმი ვერ წარმოიდგენია საზოგადოების გარეშე და პირიქით, საზოგადოება - მუზეუმის გარეშე. ეს თანხვედრა კი სარგებლის მომტანია ჩვენს ახალგაზრდებისთვის. ისინი უნდა მეტად იყვნენ ჩართულები მუზეუმების ცხოვრებაში-რაც საინტერესოს და შინაარსიანს გახდის მათ ცხოვრებას.

სამუზეუმო ცხოვრების გაცნობა ამაღლებს ახალგაზრდობის ინტელექტს, განუზომელია მისი როლი ქვეყნის ისტორიის წარმოჩინებასა და პოპულარიზაციაში.

ნატო საჯაია,
ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტი

მოლოცვა

ჩვენს საყვარელ შვილიშვილს **გაბრიელ შონიას** აინტერესებს ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდება. უყვარს ზღაპრები, მულტფილმები, განსაკუთრებით ცხოველებზე. ის ქართულ-რუსული ბაღის ,,ზღაპრული კოშკის" აღსაზრდელია. ძალიან უყვარს მეგობრები და მასწავლებლები

გაბრიელს 26 თებერვალს 5 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ დაბადების დღეს. მზე, მშვიდობა, ულევი სითბო, სიხარული და უფლის წყალობა დაბედებოდეს შენს გზა-სავალს.

ბედნიერი და ლაღი ბავშვობა ჩვენო ძვირფასო შენს დაიკო ნიტასთან ერთად. გაზრდილიყავი ჭკვიანი და სახელოვანი, გესახელებინოს მშობლები და სამშობლო.

ბებიები მაია და ჟანა

8 თებერვალი - დავითობა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 8 თებერვალს წმინდა კეთილმორწმუნე მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი 1089 წელს, 16 წლის ასაკში გამეფდა და 36 წელი მეფობდა.

წმინდა დავით აღმაშენებელმა დიდი თურქობის დროს გაქცეული და მიუვალ ადგილებს შეხიზნული ქართველები ძველ ნამოსახლარებზე დააბრუნა. მოიწვია საეკლესიო კრება, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელწოდებით არის ცნობილი. კრებამ ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტი გააძლიერა და თავგადასულ ფეოდალთა და უღირს სასულიერო პირთა თავნებობა აღკვეთა. კრებამ ასევე ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში მართლმადიდებლური სარწმუნოების სასიცოცხლო მნიშვნელობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

«არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით, მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განცემულ ქმნილ ვართ, ვინაჲ-დგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ, მოწამე არს ჭეშმარიტება», - ნათქვამია კრების ძეგლისწერაში.

შემდგომ წმინდა მეფე საქართველოს გაერთიანებას შეუდგა და ქვეყანა თურქთაგან გაათავისუფლა. მუდმივმოქმედი ჯარის შესაქმნელად კი ყივჩაღეთიდან 40 ათასი მეომარი ჩამოიყვანა, რომელსაც 5 ათასი ქართველი მიემატა.

1121 წელს წმინდა მეფე დავითმა დავითმა დიდგორზე არაბთა 600 ათასიანი არმია დაამარცხა. 1122 წელს კი 400 წლიანი არაბთა ტყვეობის შემდეგ დედაქალაქი თბილისი სამშობლოს დაუბრუნა. წმინდა მეფე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართულ ეკლესია-მონასტრებსაც შეეწეოდა. მისი მეფობის დროს აშენდა გელათის მონასტერი და დაარსდა გელათის აკადემია, სადაც იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები მოღვაწეობდნენ.

წმინდა მეფე 53 წლის ასაკში 1125 წელს აღესრულა. მანამდე მან ჰიმნოგრაფიული ნაწარმოები «გალობანი სინანულისანი» დაწერა, სადაც მეფემ მის მიერ ნებსით და უნებლიეთ ჩადენილი ცოდვებისთვის უფალს შეწყალება სთხოვა.

ანდერძის თანახმად, დავით აღმაშენებელი გელათის მონასტრის შესასვლელშია დაკრძალული.

2023 წლის № 1-2 კოლხეთში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1.სუფსა; 2. მტკვარი; 3. ქსანი; 4. ალაზანი; 5. ყვირილა; 6. თერგი; 7. არაგვი; 8. ტეხური; 9. ღალიძგა; 10. ჭოროხი.

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499